განმცხადებლები საერთაშორისო დაცვაზე

შემაჯამებელი სექცია

ირლანდიის ბანკში ვამაყობთ, რომ ვაუმჯობესებთ ჩვენი ყოველი მომხმარებლის ფინანსურ კეთილდღეობას. ფინანსური კეთილდღეობის ძირითად ნაწილს ფინანსური ჩართულობა წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს საბანკო პროდუქტებზე წვდომას. ჩვენ მხარს ვუჭერთ საერთაშორისო დაცვის განმცხადებლებს საბანკო პროდუქტებზე წვდომის უზრუნველყოფით და ვაცნობიერებთ მათთვის განმარტებითი სერვისების საჭიროებას, რათა მათ შეძლონ მიიღონ აუცილებელი ფინანსური მომსახურება.

ჩვენი ორი პროდუქტი გვაქვს ყოველდღიური საბანკო საჭიროებისთვის, რომლებიც შეიძლება შესაფერისი იყოს საერთაშორისო დაცვის განმცხადებლებისთვის; პირადი მიმდინარე ანგარიში და ძირითადი საბანკო ანგარიში, ორივე წარმოადგენს თქვენი ფულადი სახსრების შეანხვის და ხელმისაწვდომობის უსაფრთხო საშუალებას. ორივე ანგარიშის და ამ ანგარიშების გახსნისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია აქ.

როდესაც მზად გექნებათ ყველა საჭირო დოკუმენტი, შეგიძლიათ გვეწვიოთ ირლანდიის ბანკის ნებისმიერ ფილიალში და დავიწყებთ თქვენი ახალი ანგარიშის გახსნის პროცესს.

ჩვენ გვესმის, რომ ზოგიერთი მომხმარებელი შეიძლება არ ფლობდეს ინგლისურ ენას ან მისი ცოდნა არ იყოს საკმარისი იმისთვის, რომ ფილიალში სტუმრობისას უპასუხოს გარკვეულ კითხვებს. ასეთ შემთხვევაში, მოხარულები ვიქნებით თუ გვეწვევით მეგობართან, კოლეგასთან ან თარჯიმანთან ერთად, ვინც ადგილზე გადაგითარგმნით.

გარდა ამისა, ირლანდიის ბანკის რამდენიმე თანამშრომელი მთელ რიგ ენებზე საუბრობს და სიამოვნებით შევეცდებით თქვენს დახმარებას თარჯიმნის არ ყოლის შემთხვევაში. უბრალოდ კითხეთ ამის შესახებ თქვენს მრჩეველს ჩვენს ფილიალში

ჩვენი ფილიალების დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე https://www.bankofireland.com/branch-locator/